ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ49. 4926253001**

თარიღი:**10/09/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის

ალექსანდრე დადუნაშვილის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 50--ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე და 30-ე მუხლებისა და მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ალექსანდრე დადუნაშვილის 2026 წლის 9 სექტემბრის 49-49262523 წერილის შესაბამისად, ვბრძანებ :

1. **ალექსანდრე დადუნაშვილს -** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, შეუჩერდეს სამსახურებრივი უფლებამოსილება 2026 წლის 12 სექტემბრიდან 17 სექტემბრის ჩათვლით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის სამხედრო სარეზერვო სამსახურში გეგმიური საწვრთნელი შეკრების გამო.

2. მოხელის არყოფნის დროს მისი მოვალეობის შესრულება დაევალოს საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსს სპეციალისტს **ქეთევან კირტავას** .

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს ქეთევან კირტავასათვის თანამდებობრივ სარგოებს შორის არსებული სხვაობის დანამატის სახით გაცემა.

4.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.N 11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, ქ.წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27, ტელ: (0436) 22-50-03, ელ-ფოსტა:
TSKALTUBO.SAKREBULO@GMAIL.COM